პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის _ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4825041174**
თარიღი: **10/02/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე ზედამხედველობას, წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა დასარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხის პროექტის მომზადებას; საპრივატიზაციო ან სარგებლობით გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის მომზადება; საჯარო და/ან ელექტრონული აუქციონისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას; შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ, ახორციელებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებას, უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღებას, საგრანტო წინადადებების და მასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას, მონიტორინგს და შეფასებას, ახორციელებს ასევე კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებიდსა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით შვიდ მოქალაქეს გადაეცა ფართობი საკუთრებაში და გაიცა შესაბამისი საკუთრების მოწმობრბრი.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისრტირდა შემდეგი ქონება:

- ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩა N6-ის აღმოსავლეთით მდებარე 74 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.ს/კ 29.08.33.893
- ქალაქ წყალტუბოში კეცხოველის ქუჩაზე მდებარე 503 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.ს/კ 29.08.38.305
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე უძრავი ქონება ს/კ 29.10.39.273
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, ვარციხჭესების დასახლებაში მდებარე 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩში მდებარე უძრავი ქონება ს/კ 29.01.32.297
- ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩა N10-ის სამხრეთით მდებარე 457 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 29.08.33.898

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთში მდებარე უძრავი ქონება ს/კ 29.12.40.072
- ქალაქ წყალტუბოში თბილისის ქუჩის მიმდებარედ არსებული 46 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.ს/კ 29.08.33.901
- ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება ს/კ 29.08.38.305
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში მდებარე 554 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 29.04.33.300
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში მდებარე 18334 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო, დანიშნულების მიწის ნაკვეთი .
- ქალაქ წყალტუბოში წერეთლის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 29.08.32.661

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემული იქნა შემდეგი ქონება:

- ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, პირველი შესახვევი N2-ში მდებარე შენობის (ს/კ 29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ ფართი 1 წლის ვადით გადაცემული იქნა ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ ,, ჩვენი სახლი“.
- ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ ფართი (ს/კ 29.08.34.014.01.507) გადაეცა ა(ა)იპ ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას''.
- ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება''-ზე გადაცემული იქნა ქალაქ წყალტუბოში, შანიძის ქუჩა N1-ში მდებარე უძრავი ქონება.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ელექტრონული აქუციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა ერთი ერთეული უძრავი ქონება, მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში 113 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. პრივატიზების შედეგად ბიუჯეტში შესულმა თანხამ შეადგინა 4400 ლარმა.

შენობა-ნაგებობების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 63,060.92 ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან 51,893.90 ლარი.

სამსახურის მიერ ხორცილედება უძრავი და მოძრავი ქონებების მონაცემთა ბაზაში შეყვანა, აღრიცხვა და განკარგვა.ასევე, ელექტრონული პროგრამა „eproperty.ge”-ში.

სამსახურის მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო რწმუნებულის აპარატიდან შემოსულ წერილებზე მიწის ნაკვეთების განკარგვასთან (იჯარა/ პრივატიზება) დაკავშირებით.

პირველ ეტაპზე გამარჯვებულად გამოვლენის შემდგომ სამსახურის მიერ მომზადებული და გაგზავნილი იქნა პროექტი თემაზე ,,ინფრასტრუქტურული გრანტების საპროექტო იდეის განაცხადი (კონცეფცია)საგრანტო კონკურსი „სწრაფი რეგიონული განვითარება იმერეთსა და კახეთში“ ფარგლებში.

სამსახურის მიერ მომზადდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური სტრატეგიული დოკუმენტი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.